

## საქართველოს კანონი

### საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში დამატებების შეტანის შესახებ

**მუხლი 1.** საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, Nნაწ. I, № 39(46), 08.06.1999 წ., მუხ. 190) შეტანილ იქნას შემდეგი დამატებები:

**1. კანონს დაემატოს 13<sup>2</sup> მუხლი შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 13<sup>2</sup>. საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დაევების განხილვის ვადა

1. საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობიდან გამომდინარე სასამართლო დავის განხილვის ვადა პირველი ინსტანციის, სააპელაციო და უზენაეს სასამართლოში, შესაბამისად, სარჩელის, სააპელაციო საჩივრისა და საკასაციო საჩივრის წარმოებაში მიღებიდან საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე თითოეულ ინსტანციაში არ უნდა აღემატებოდეს ორ თვეს.

2. ამ მუხლის პირველის ნაწილით გათვალისწინებულ სასამართლო დავებზე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 7 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად.“

**2. კანონის 34-ე მუხლს დაემატოს მე-5 ნაწილი შემდეგი რედაქციით:**

„5. ამ მუხლის 3<sup>1</sup> და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული ვადები არ ვრცელდება ამ კოდექსის მე-13<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ სასამართლო დავებზე“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

